საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

21/03/2023
N 438

438-09-02-11-3-202303211520

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/44, 27.02.2023)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2023 წლის 21 მარტის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილულ იქნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის, ვლადიმერ მგალობლიშვილის, ირაკლი ჩავლეიშვილის და დავით ბაციკაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/44, 27.02.2023).

I. საკანონმდებლო ცვლილების ძირითადი არსი

რეგლამენტის პროექტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრს ეძლევა სამართლებრივი შესაძლებლობა, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვის პროცესში სიტყვით გამოვიდეს და საკუთარი პოზიცია წარმოადგინოს სხდომათა დარბაზში პრეზიდიუმთან განთავსებული ტრიბუნიდან.

II. რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში (წამყვანი კომიტეტი) შესაბამის სუბიექტებს შენიშვნები და წინადადებები არ წარმოუდგენიათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. საკანონმდებლო ცვლილების შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრს ჰქონდეს ალტერნატივის შესაძლებლობა, კერძოდ, მისი სურვილის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებით გამოსვლის უფლებით ისარგებლოს ადგილიდან ან უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში პრეზიდიუმთან განთავსებული ტრიბუნიდან.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის ერთ-ერთმა ავტორმა და ინიციატორმა (მომხსენებელმა) ვლადიმერ მგალობლიშვილმა გამოთქვა მზადყოფნა პროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვამდე, კომიტეტის სხდომაზე გამოთქმული მოსაზრების სხვა ინიციატორებთან შეთახმებასა და პლენარულ სხდომაზე შეჯერებული პოზიციის წარმოდგენის შესახებ.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის, ვლადიმერ მგალობლიშვილის, ირაკლი ჩავლეიშვილის და დავით ბაციკაძის მიერ ინიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე